N1889 2015 წლის 7 სექტემბერი ქ. თბილისი

შპს „ბედიანის ფსიქიატრიული საავადმყოფოს“ სათბობი შეშით უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიების შესახებ

1. „ტყის ფონდის მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს „ბედიანის ფსიქიატრიული საავადმყოფოს“ სათბობი შეშით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - ეროვნულმა სატყეო სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) განახორციელოს ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის წალკა-თეთრიწყაროს სატყეო უბნის ხრამის სატყეოში 100 $м^3$ II ხარისხის (საშეშე) მერქნის მისაღებად საჭირო ტყეკაფის გამოყოფა.

2. შპს „ბედიანის ფსიქიატრიულმა საავადმყოფომ“ უზრუნველყოს „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის გადახდა.

3. სააგენტომ უზრუნველყოს ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ მერქნულ რესურსზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა და სპეციალური ფირნიშებით მარკირება.

4. შპს „ბედიანის ფსიქიატრიულმა საავადმყოფომ“ უზრუნველყოს ხეტყის დამზადების ბილეთის გაცემისათვის სააგენტოს მომსახურეობის საფასურის (დღგ-ის ჩათვლით) - 1 კუბურ მეტრზე 3 (სამი) ლარის გადახდა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**